თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 13

28 სექტემბერი 2020 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილი თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	გიგა ორკოდაშვილი;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ნანა ხვისტანი;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	დავით გოგოშვილი;
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ალექსანდრე შათირიშვილი;
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	დავით ღაღანიძე;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	ლევან ლილუაშვილი;
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე	მაია მარკოზაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე	ტიტე დარეჯანიშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე	ალექსანდრე კუპატაძე;
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე	არჩილი თვალიაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე	გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ ნაცარაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, ლევან მრელაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებელობის, არქიტექტურისადა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლია ალადაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **სოფიო ოხანაშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი **ლია ფარსადანიშვილი;**

ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი“ ხელმძღვანელი **ნ.ქარჩაიძე**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

2. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ. თავბერიძე

12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ. თავბერიძე

12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

4. ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრზე“ ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ. თავბერიძე

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. ორკოდაშვილი

12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

7. ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

8. სხვადასხვა

13.10სთ-დან

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №18 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>2.მოისმინეს:</u> ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ. თავბერიძე

12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **დ.ღაღანიძემ, ა.ძულიაშვილმა** აღნიშნა, რომ პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ყველას გაუგრძელდეს სააუქციონო პირობის შესრულების ვადა, ვისაც ეს საჭიროება ექნება.

საკრებულოს წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილ პროექტში ერთი წლის ვადა უნდა შეიცვალოს 3 თვით, რადგან ობიექტი დასრულების პროცესშია.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20 (ოცი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03 (სამი) წევრმა **-ა.კუპატაძემ, ლ.მენთეშაშვილმა, ა.ძულიაშვილმა.**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნათია წიგნაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ. თავბერიძე

12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ზ.მუსაევმა, დ.ღაღანიძემ**

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>4.მოისმინეს:</u> ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრზე" ადმინისტრაციული დაპირების გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ. თავბერიძე

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.ძულიაშვილმა** ნ.ქარჩაიძეს მოსთხოვა ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ, რაზეც მიიღო განმარტებები.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 ივლისის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. ორკოდაშვილი

12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო** 03 (სამი) წევრმა - **ა.ძულიაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ა.მახარიაშვილმა. კენჭისყრას არ ესწრებოდა** 01(ერთი) წევრი - **ლ.მენთეშაშვილი.**

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> 1. შეიქმნას თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის ადგილების განმსაზღვრელი დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

დავით ღაღანიძე - დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე;

დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები:

გიგა ორკოდაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ტიტე დარეჯანიშვილი - ფრაქციის ,,ქართული ოცნება- მრეწველები" თავმჯდომარე;
გიორგი ქიზიყელაშვილი - ფრაქციის ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ჩაბრაშვილი - ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები" თავმჯდომარე;
არჩილი თვალიაშვილი - ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე;
გოჩა წაწალაშვილი - საკრებულოს წევრი;
ზურაბ ნაცარაშვილი - ფრაქციის „ძლიერი სოფელი" თავმჯდომარის მოადგილე

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 29 დეკემბრამდე.

(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22 (ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრას არ ესწებოდა 01 (ერთი) წევრი - ლ.მენთეშაშვილი)

<u>7.მოისმინეს:</u> ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე - ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22 (ოცდაორი) წევრმა, **კენჭისყრას მონაწილეობა არ მიიღო** 01 (ერთი) წევრმა - **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>8.მოისმინეს:</u> **სხვადასხვა**

1. **გიგა ორკოდაშვილის ინიციატივების შესახებ.**

გ.ორკოდაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა შემდეგი ინიციატივები:

1. ქ.თელავის „ძველ ბაღში" ასაკოვანი მოქალაქეებისათვის გართობისა და დასვენების პირობების შესაქმნელად ფანჩატურის მოწყობა. (თან ერთვის 2(ორი) ფურცელი);
2. ქ.თელავის სკვერებში რამდენიმე ლოკაციაზე მულტფუნქციური სტენდების მოწყობა (თან ერთვის 2(ორი) ფურცელი);
3. ქ.თელავში ღია კინოთეატრის მოწყობა (თან ერთვის 2(ორი) ფურცელი)

2. **ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" -ინიციატივების შესახებ.**

ლ.ლილუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა ფრაქციის მიერ მოსახლეობასთან გამართული შეხვედრების შედეგად გამოვლენილი პრობლემები (თან ერთვის 2(ორი) ფურცელი).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე